ვაშა, ოლიმპიურ საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თბილისში გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 ოქტომბერი, პარასკევი, 1989 წ.
№ 192 (10 111) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნა, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ფართოდ გაშლა — ეს ის გზაა, საითკენაც, რომ არა უკუღმართი ისტორიული კატაკლიზმები, ბუნებრივად მიდიოდა საუკუნის დასაწყისის ქართული სპორტული მოძრაობა, რომლის სათავეებთან დაძმა ნიკოლაძეები, გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, არჩილ ბაქრაძე, ირაკლი ლორთქიფანიძე და სხვა ღირსეული ქართველი მამულიშვილები იდგნენ. სწორედ ამ მაგდარ მოღვაწეებს ხედავთ აქ დაბეჭდილ სურათზე. ქართული სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ თითოეულ მათგანს, კარგად იციან თითოეული მათგანის დამსახურების ამბავი. ისინი თანამედროვე ქართული სპორტის მესაძირკვლეები არიან და 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა წარმატება მათ მიერ ფუძედადებულ ტრადიციათა ერთგვარი გვირგვინია.

დღეს, როცა იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ეს ნათელი სახელები. არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თუნდაც ის ფაქტი, რომ 1912 წელს პრაღაში გამართულ საერთაშორისო სპორტულ შეკრებაში ასპარეზობის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა, პირველი ხარისხის ჯილდოს მფლობელმა გიორგი ნიკოლაძემ ისე მოხდენილად სტყორცნა ბადრო, რომ ეს მომენტი, ფოტოზე აღბეჭდილი, მთელ მსოფლიოში გავრცელდა საფოსტო ბარათის სახით.

არ შეიძლება, არ გავიხსენოთ ჩვენი უფრო შორეული წინაპრებიც, მოყოლებული თუნდაც ფარსმან მეფიდან, რომლის მხედრული ოსტატობით აღფრთოვანებულმა რომაელებმა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება მარსის მოედანზე დადგეს.

დღეს ფარსმან მეფეც, უსახელო ქართველი მხედრებიც და შუბოსნებიც, მოჭიდავენიც და მოფარიკავენიც, მთამსვლელებიც და მოცურავეებიც, ჩვენთან ერთად არიან. ჩვენთან ერთად არიან ამ სურათზე აღბეჭდილი თანამედროვე ქართული სპორტის მესაძირკვლენიც, ჩვენთან ერთად არიან და ჩვენთან ერთად უდგებენ დვრიტას ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, როგორც ჩვენი მომავალი ოლიმპიური გამარჯვებების მტკიცე საფუძველს.

გზა გრძელდება.

სურათზე: ხხედან (მარცხნიდან) — გაიოზ ბერელაშვილი თამარ ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი, დგანან — არჩილ ბაქრაძე, გიორგი ნიკოლაძე და ირაკლი ლორთქიფანიძე.

გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას!

6 **ოქტომბერი** ქართული სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანი დღეა. იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ქვეყანაში ოლიმპიური მოძრაობა ახლა ფართოდ შლის ფრთებს. საქართველოს 25 ოლიმპიური ჩემპიონი და 28 ოქროს მედალი, ისიც მხოლოდ სულ 9 ოლიმპიადის განმავლობაში, ბევრ დიდ ქვეყანას შეშურდებოდა, მაგრამ დღეიდან, დარწმუნებული ვართ, საქართველოს ოლიმპიური წარმატებები უფრო თვალსაჩინო გახდება. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იზრუნებს ოლიმპიური იდეალების პოპულარიზაციისათვის, ერის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის, საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტისთვის, ეს შეეხება როგორც ოლიმპიურ მოძრაობას, ისე მონაწილეობას მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში.

მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერება ქართული სპორტის ისტორიაში 13 სექტემბერიც. ამ დღეს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფის აქტიური მონაწილეობით, ჩამოყალიბდა საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი, რომელიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით ერთადერთია მსოფლიოში და რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ჩვენი კლუბი აქტიურად უჭერს მხარს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეას, მხურვალედ მიესალმება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატებს, უსურვებს მათ წარმატებებს მუშაობაში და რესპუბლიკის საზოგადოებრიობას აღუთქვამს, რომ დაუღალავად იბრძოლებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საერთაშორისო აღიარებისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას!

საქართველოს ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის სახელით —

დავით ციმაკურიძე,

კლუბის პრეზიდენტი.

ყველა მონაწილე

36 წლის მანძილზე, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს XV და XXIV ოლიმპიადებს, საქართველოს სპორტსმენებს (საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად) მონაწილეობა აქვთ მიღებული ცხრა ოლიმპიურ თამაშებში. აი, როგორი იყო რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმომადგენლობა წლების მიხედვით:

1952	ნ. ჰელსინკი	14
1956	ნ. მელბურნი	10
1960	ნ. რომი	16
1964	ნ. ტოკიო	18
1968	ნ. მეხიკო	14
1972	ნ. მიუნჰენი	16
1976	ნ. მონრეალი	11
1980	ნ. მოსკოვი	16
1988	ნ. სეული	16

როგორც ხედავთ, საქართველოს ოლიმპიადებში 134 წარმომადგენელი ჰყოლია. მაგრამ ვინაიდან ზოგიერთი მათგანი გამოდიოდა ორ და სამ ოლიმპიადაში, ცხადია, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენთა კონკრეტული რაოდენობა უფრო ნაკლებია. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, რამდენი სპორტსმენი ჰყავთ გამოყვანილი მათ ცხრა ოლიმპიადაში.

ოქროს მედლები

საბჭოთა სპორტსმენებს 1952 წლიდან მოყოლებული მონაწილეობა აქვთ მიღებული ცხრა ოლიმპიადაში. ყველაზე ბევრი ჩემპიონი, ბუნებრივია, რუსეთის ფედერაციას ჰყავს (მოსკოვს, ლენინგრადს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებს): თუ როგორ არის განაწილებული უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოები მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ნათლად ჩანს ქვემომოყვანილი ცხრილიდან.

რუსეთის ფედერაცია	447
უკრაინა	173
ბელორუსია	60
საქართველო	28
უზბეკეთი	27
ლატვია	19
ლიტვა	18
სომხეთი	13
აზერბაიჯანი	10
უზბეკეთი	10
ესტონეთი	8
ყირგიზეთი	4
მოლდავეთი	3
ტაჯიკეთი	3
თურქმენეთი	1

ამ ცხრილში კი ნაჩვენებია რამდენი ოლიმპიელი ჰყავდა ამა თუ იმ რესპუბლიკას 1952 წლიდან.

რუსეთის ფედერაცია	2076
უკრაინა	528
ბელორუსია	177
საქართველო	134
ლიტვა	94
ლატვია	76
უზბეკეთი	75
ესტონეთი	57
უზბეკეთი	48
სომხეთი	37
აზერბაიჯანი	34
ყირგიზეთი	18
მოლდავეთი	14
ტაჯიკეთი	7
თურქმენეთი	3

ოლიმპიურ ჩემპიონთა საქართველოს თანავარსკვლავედი



დავით ციმაკურიძე
(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1925 წ. 29 მარტს ფოთში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. თბილისის „ბოლშევიკი", „ისკრა", „ბურევესტნიკი". სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (საშუალო წონა). ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

რაფაელ ჩიმიშკიანი
(ძალოსნობა)

დაიბადა 1929 წ. 23 მარტს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი. დამყარებული აქვს მსოფლიოს 11 რეკორდი. ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში (ქვემსუბუქი წონა).

მედეა ჯუღელი
(ტანვარჯიში)

დაიბადა 1925 წ. 1 აგვისტოს ქუთაისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ხელფენი ხტომებში. იყო ქვეყნის ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში. ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში. მეორე ადგილი საგნით გუნდურ ვარჯიშში.

გივი კარტოზია
(კლასიკური ჭიდაობა)

დაიბადა 1929 წ. 29 მარტს სენაკის რ-ნის სოფელ ნოჭალაქევში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „ბოლშევიკი", „ისკრა", „ბურევესტნიკი". სსრ კავშირის ოთხგზის და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (საშუალო წონა). მსოფლიო თასის მფლობელი. მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რომის XVII ოლიმპიურ თამაშებში ბრონზოის მედალი მოიპოვა ქვემძიმე წონაში.



მირიან ცალქალამანიძე
(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1927 წ. 9 მარტს თელავის რ-ნის სოფელ კონდოლში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „შრომითი რეზერვები". სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი. მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ყმაწვილა წონაში. მსოფლიო ჩემპიონატებისა და მსოფლიო თასის პრიზიორი.

ავთანდილ ქორიძე
(კლასიკური ჭიდაობა)

დაიბადა 1935 წ. 15.IV თბილისში (გარდაიცვალა 1966 წ. 11 აპრილს). სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „ბურევესტნიკი". რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (მსუბუქი წონა). 1961 წ. იოკოჰამაში მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

რობერტ შავლაყაძე
(ძალოსნობა)

დაიბადა 1933 წ. 1 აპრილს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „ლოკომოტივი", „დინამო". სსრ კავშირის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში. რომის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მისი შედეგი 2 მ. 16 სმ. ახალი ოლიმპიური რეკორდი იყო. მონაწილეობა მიიღო ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებშიც. დაიკავა მეხუთე ადგილი.

ვაჟა კაჭარავა
(ფრენბურთი)

დაიბადა 1937 წ. 2 იანვარს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი. თბილისის „ბურევესტნიკი", მოსკოვის „დინამო". მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი. ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ვიქტორ კრატასიუკი
(ხაბაიდარო ნიჩბოსნობა)

დაიბადა 1949 წ. 30 იანვარს ფოთში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. არმიის სპორტული კლუბი. სსრ კავშირის ორგზის და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი. მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ორადგილიანი ბაიდარით (ნიკოლოზ გორბაჩოვთან ერთად) 1000 მ. რბოლაში.



ნუგზარ ასათიანი
(ფარიკაობა)

დაიბადა 1937 წ. 16 ივლისს, ქუთაისის რ-ნის სოფელ დღნორაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „ბურევესტნიკი", „დინამო". სსრ კავშირის თასის მფლობელი და სსრ კავშირის ჩემპიონი ხმლით ფარიკაობაში. ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში. მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში.

ვიქტორ სანეევი
(ძძლეოსნობა)

დაიბადა 1945 წ. 3 ოქტომბერს სოხუმში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოხუმის „დინამო", თბილისის „დინამო". სსრ კავშირის რვაგზის და ევროპის ჩემპიონი სამხტომში. მოხაწილეობა აქვს მიღებული ოთხ ოლიმპიურ თამაშებში. მეხიკოს XIX, მიუნხენის XX და მონრეალის XXI ოლიმპიადების ჩემპიონი. მოსკოვის XXII ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. მსოფლიოს არაერთგზის რეკორდმენი.



რომან რურუა
(კლასიკური ჭიდაობა)

დაიბადა 1942 წ. 25 ნოემბერს მარტვილის რ-ნის სოფელ ბუხურჩაში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „კოლმეურნე". სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (63 და 68 კგ. წონებში). მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი. მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ტოკიოს XVIII ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.



ლევან თედიაშვილი
(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1948 წ. 15 მარტს საგარეჯოს რ-ში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „გვინთიადი", ასკ. სსრ კავშირისა და ევროპის სამგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (82 და 90 კგ). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (ოთხჯერ თავისუფალ ჭიდაობაში და ერთხელ სამბოში). მიუნხენის XX და მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.



ზოთა ჩოჩიშვილი
(ძიუდო)

დაიბადა 1950 წ. 10 ივლ[illegible] სოფელ გველესში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. „ბურევესტნიკი". მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ოლიმპიადაზე, მონაწილეობა XX ოლიმპიურ თამაშებს ჩემპიონი. მონრეალის XXI ოლიმპიადაზე ბრონზოის მედალი დაისაკუთრა.



ზურაბ საკანდელიძე
(ძალთბურთი)

დაიბადა 1945 წ. 9 აგვისტოს ქუთაისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამო". ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მეხიკოს XIX ოლიმპიადაზე ბრონზოის მედალი მოიპოვა. იყო მსოფლიოს ჩემპიონიც.

მიხეილ ქორქია
(ძალთბურთი)

დაიბადა 1948 წ. 10 სექტემბერს ქუთაისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი. მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მონრეალის XXI ოლიმპიურ თამაშებზე ბრონზოის მედალი მოიპოვა.



ალექსანდრე ანაილოგოვი
(ხელბურთი)

დაიბადა 1954 წ. 18 იანვარს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „ბურევესტნიკი". მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი საბჭოთა ნაკრებში.



ვახტანგ ბლაგიძე
(კლასიკური ჭიდაობა)

დაიბადა 1954 წ. 23 ივლისს ლანჩხუთის რ-ნის სოფელ ჩორხათში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში (52 კგ). მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი, მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ზოთა ხაბარელი
(ძიუდო)

დაიბადა 1958 წ. 26 დეკემბერს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის არმიის სპორტული კლუბი. ევროპის ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში. სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორი. მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძიუდოში (78 კგ).





ქეთევან ლოსაბერიძე
(მშვილდოსნობა)

დაიბადა 1949 წ. 1 აგვისტს ტყიბულში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „ტორპედო". სსრ კავშირის, ხალხთა სპარტაკიადის და ევროპის ჩემპიონი როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მონაწილეობდა მიუნხენის XX ოლიმპიადაზეც (IV ადგილი).

ნინო სალუქვაძე
(ტყვიის სროლა)

დაიბადა 1969 წ. 1 თებერვალს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის არმიის სპორტული კლუბი. სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ტყვიის სროლაში (პისტოლეტი). სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (33-5 ვარჯიში). აქვე, სეულში ვერცხლის medalიც მოიპოვა (33-2 ვარჯიში).



დავით გოგეჯიშვილი
(თავისუფალი ჭიდაობა)

დაიბადა 1963 წ. 13 აპრილს ონის რ-ში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". სსრ კავშირის სამგზის და ევროპის ჩემპიონი. 1985 წ. გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (მძიმე წონა).

ვლადიმერ აფციაური
(ფარიკაობა)

დაიბადა 1962 წ. 4.II თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისის „დინამო". სსრ კავშირის ჩემპიონი. 1982 წ. იყო მსოფლიო ჩემპიონი რაპირით გუნდურ ფარიკაობაში. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (რაპირა, გუნდური).

ვლადიმერ გოგოლაძე
(ტანვარჯიში)

დაიბადა 1966 წ. 18 აგვისტოს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. თბილისი, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება. საკავშირო ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში.

გელა კეტაშვილი
(ფეხბურთი)

დაიბადა 1965 წ. 27 სექტემბერს თბილისში. სპორტის დამსახურებული ოსტატი. ქუთაისის „ტორპედო", თბილისის „დინამო". მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის ქვეყნების საკლუბო ტურნირებში. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ოლიმპიური ქარტია

წესები

5) პატრონაჟი და აღიარება

56. პატრონაჟი

ხოკ-ს შეუძლია თავის მხრიდან შეხთავაზოს პატრონაჟობა საერთაშორისო კომპლექსურ სპორტულ შეჯიბრებებს, რეგიონალურ, კონტინენტალურ ან მსოფლიო შეჯიბრებებს იმ პირობით, თუ ისინი შეესაბამებიან წინამდებარე ქარტიის 24-ე წესს და ოლიმპიურ პრინციპებს.
ამასთან განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებას, მისცეს პატრონაჟობა ხოკ-მა თუ არა, მე-16 წესის შესაბამისად, შეიძლება მიიღოს, ხოკ-ის აღმასკომმა.

57. აღიარება სოკ-ის მიერ

სპორტის სახეობის ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვის მიზნით და მისი განვითარების ხელშეწყობად ხოკ-ს შეუძლია შეხთავაზოს საერთაშორისო ფედერაციას თავის მხრიდან აღიარება, იმ პირობით, რომ ფედერაცია მისცემს რწმუნებას ოლიმპიურ ქარტიასთან შესაბამისობაზე და კრიტერიუმებზე, რომელიც წაყენებულია სპორტის ოლიმპიური სახეობებისადმი დაცული იქნება მისი ხელმძღვანელების ქვეშ მყოფ სპორტის სახეობებში.
საერთაშორისო ფედერაციის წესდება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ხოკ-ის აღმასკომს.
თუ პირობები არაა დაცული, ხოკ-ი თავის მხრივ ჩამოართმევს მას აღიარებას.
სპორტის სახეობები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ხოკ-ის მიერ აღიარებული საერთაშორისო ფედერაციები, მოცემული წესების საფუძველზე შეიძლება ფიგურირებდეს კონტინენტალურ და რეგიონალურ თამაშების პროგრამაში, რომელიც ტარდება ხოკ-ის პატრონაჟობით.
ხოკ-ს შეუძლია აგრეთვე თავისი მხრიდან აღიარება მიანიჭოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთანაც შედის სპორტი, ორგანიზაციებს, რომლებიც უპასუხებენ ოლიმპიური ქარტიის მოთხოვნილებას; მათი წესდება უნდა დამტკიცდეს ხოკ-ის აღმასკომის მიერ.

6) ოქმი

მოწვევა და ბლანკები
მოწვევას ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებაზე აგზავნის ხოკ-ი თამაშების გახსნის ცერემონიამდე ერთი წლით ადრე. ისინი იგზავნებიან ყველა აღიარებულ ეოკ-ში და შედგენილი უნდა იქნეს შემდეგი ფორმით: „საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აქვს პატივი მოგიწვიოთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა..... ოლმპიადის თამაშებში (ან..... ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში), რომელიც ჩატარდება.... დან...მდე“.
მიწვევა იგზავნება ერთდროულად შეკვეთილი ავიაწერილით, და არა დიპლომატური არხებით. ეოკ-მა მიწვევაზე უნდა უპასუხოს შეკვეთილი ხაფსტა

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 131, 133, 139, 158, 167, 178, 184.

გზავნილებით, არა უგვიანეს ოთხი თვისა დღიდან მიწვევის გაგზავნისა, რაც უნდა დადასტურდეს ხაფოსტა შტემპელით.
ყველა დოკუმენტის ზედა ნაწილში (მოწვევა, განცხადი, ბილეთები, პროგრამა და ა. შ.), რომლებიც იბეჭდება ოლიმპიადის თამაშებისთვის, აგრეთვე გასავრცელებელ ნიშნებზე, ნაჩვენები უნდა იყოს ოლიმპიადის ნომერი და ქალაქის დასახელება, სადაც ტარდება თამაშები (მაგალითად, XXI ოლიმპიური თამაშები, მონრეალი 1976).
ზამთრის თამაშებისთვის გამოიყენება ქალაქის დასახელება და ამ თამაშების ნომერი (მაგალითად, XII ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ინსბრუკი 1976).

59. პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტები,

ოლიმპიური მოწმობა ან აკრედიტაციო ბარათი ადასტურებენ მისი მფლობელის პიროვნებას და ითვლება დოკუმენტად, რომელიც იძლევა იმ ქვეყნის სახზღვრების გადალახვის უფლებას, სადაც იმყოფება ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქი. იგი მფლობელს აძლევს უფლებას იმყოფებოდეს იქ და იქვე შეასრულოს ოლიმპიური მოვალეობები ოლიმპიური თამაშების განმავლობაში, აგრეთვე იმ პედიოდში, რომელიც არ აღემატება ერთ თვეს თამაშებამდე და თამაშების შემდეგ. ხოკ-ი კისრულობს პასუხისმგებლობას მოწმობის გაცემასა და დაწესებაზე, მაგრამ შეუძლია ეს როლი დაუთმოს ორგკომიტეტს, რომელმაც ყველა შემთხვევაში ეს მოწმობა უნდა გადასცეს შესაბამის პირებს, მიიღოს მზედველობაში ვითარებები, რასაც ოფიციალური განმარტება შეიცავს. ოლიმპიური მოწმობის მფლობელებს შეუძლიათ დაეხსრონ ყველა ღონისძიებას, რომელიც ტარდება ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშრებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც მინაშნებულია ოლიმპიურ ქარტიაში. კერძოდ, მოწმობა იძლევა იმ ადგილებში შესვლის უფლებას, სადაც ტარდება ვარჯიშები და შეჯიბრებები ტრიბუნებზე, სადაც გამოყოფილია ადგილები (მე-60 წესისა და მისი ოფიციალური განმარტების შესაბამისად), ოლიმპიურ სოფლებში და ოლიმპიური ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილებში, პრესის, რადიო და ტელევიზიის ცენტრებში, აგრეთვე სამედიცინო კონტროლის ცენტრში.
ოლიმპიური მოწმობის კლასიფიკაცია მოყვანილია ოფიციალურ განმარტებებში. ნებისმიერი ცვლილება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ხოკ-ს.
ხოკ-ისა და განსაკუთრებულ შემთხვევაში საორგანიზაციო კომიტეტის თანხმობით შეიძლება ოლიმპიურ მოწმობაზე იყოს მოწმობის მფლობელის ქვეყნის წარმომადგენლის ხელმოწერა, რომელიც დაადასტურებს მის მოქალაქეობრიობას (ქვეშევრდომობას), ნებართვას ოლიმპიური თამაშების ქვეყანაში შესვლაზე და მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებაზე. თუ ასეთი ხელმოწერა არ არის, ოლიმპიური მოწმობის მფლობელმა უნდა წარადგინოს მისი პიროვნებისა და მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) ოფიციალური დოკუმენტი.

60. სათადარიგო ადგილების დაგვევება

უფასო ადგილების სარეზერვო დაბევება ხდება ოფიციალური განმარტებების შესაბამისად.

61. ოლიმპიური დროშა

ოლიმპიურ ქალაქში სხვა დროშებთან თანასწორად თავისუფლად უნდა ფრიალებდეს ოლიმპიური დროშა. სტადიონზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითთ უნდა გამოიფინოს ოლიმპიური დროშები და ყველა მონაწილე დელეგაციის დროშები (იხ. 24-ე წესი). დიდი ზომის ოლიმპიური დროშა არენაზე უნდა ფრიალებდეს მთელი ოლიმპიური თამაშების განმავლობაში, კარგად გამოსაჩენ ადგილზე, სადაც ის აღიმართება თამაშების გახსნილად გამოცხადების მომენტში და დაეშვება დახურვის ცერემონიის შემდეგ.

62. ოლიმპიური ცეცხლი

ოლიმპიური ცეცხლის ჩატანა ოლიმპიურ სტადიონზე ეკისრება საორგანიზაციო კომიტეტს. ღონისძიებები, დაკავშირებული უსტაფეტასთან -ან ცეცხლის ჩამოსვლასთან, უნდა ჩატარდეს შესაბამისი ეოკ-ის ეგიდით ოლიმპიური ოქმის შესაბამისად კომერციის გარეშე.
ოლიმპიური ცეცხლი არის ერთადერთი ვარიანტი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა მიღებულია ხოკ-ის ნებართვა.
ცეცხლი უნდა მოთავსდეს ამაღლებულ ადგილზე და მოჩანდეს კარგად მთავარ სტადიონზე და, თუ ამის საშუალებას იძლევა არქიტექტურა, მის ფარგლებს გარეთ.

63. გახსნის ცერემონია

გახსნის ცერემონია, რომელიც აღწერილია მოცემული პუნქტის ოფიციალურ განმარტებაში, უნდა ჩატარდეს მასთან მკაცრ შესაბამისობაში.

64. მედლები და დიპლომები

მედლებს და დიპლომებს ორგკომიტეტი გადასცემს ხოკ-ს, რომელსაც ისინი ეკუთვნის და ანაწილებს მოცემული წესის ოფიციალურ განმარტებებში შემცველი ინსტრუქციების შესაბამისად.

65. დაჯილდოების ცერემონია

დაჯილდოების ცერემონია, რაც აღწერილია ამ წესის ოფიციალურ განმარტებებში, უნდა ჩატარდეს მისი მკაცრი დაცვით.

66. დახურვის ცერემონია

დახურვის ცერემონია, რაც აღწერილია ამ წესის ოფიციალურ განმარტებებში, უნდა ჩატარდეს მისი მკაცრი დაცვით.

67. საპატიო სია

ოლიმპიური თამაშები არ არის შეჯიბრება ქვეყნებს შორის და ჩათვლა ქვეყნების მიხედვით არაა აღიარებული. საპატიო სიას თითოეულ სპორტის სახეობაში შეჯიბრების მიხედვით პირველი ექვსი გვარის ჩვენებით ადგენს საორგანიზაციო კომიტეტი და გადაეცემა ხოკ-ს.

68. უფროსობა

ოლიმპიური თამაშების დროს ყველა ცერემონიალზე უფროსობა ოლიმპიურ საკითხებში ეკუთვნის ხოკ-ის წევრებს და საპატიო წევრებს მათი ხოკ-ში არჩევის თანმიმდევრობით, ხოკ-ის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის თავკაცობით, შემდეგ ორგკომიტეტის წევრებს, სსფ-ის პრეზიდენტებს და ეოკ-ის პრეზიდენტებს.
საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად არ უნდა აღიაროს არანაირი უცხოეთის დელეგაცია ან მისია, არც მონაწილეებზე ხელისუფლება რომელიმე ორგანიზაციის მხრიდან, გარდა ეოკ-ისა და სსფ-ისა და ხოკ-ისა.

69. ცერემონიები

არანაკლებ 6 თვისა ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე აღმასკომს მოსაწონებლად წარედგინება ცერემონიის ყველა დეტალი.
ერთდროულად ცნობილი უნდა გახდეს კულტურული პროგრამის დეტალები.

70. საორგანიზაციო კომიტეტმა მკაცრად უნდა დაიცვას ოქმი, აღწერილი წინამდებარე წესებში. ყოველგვარი უკან დახევა დაუშვებელია.

71. ახალგაზრდული ბანაკი

საორგანიზაციო კომიტეტს თავისი პასუხისმგებლობით შეუძლია მოაწყოს ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი.

საჭადრაკო ოლიმპიადების ქართველი ჩემპიონები

თანამედროვე საერთაშორისო სპორტული ცხოვრების განუყოფელი მოვლენაა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადები, რომლებიც ფიდე-მ (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) შემოიღო 1927 წელს, როცა ლონდონში პირველი ოლიმპიადა გაიმართა.

ალბათ ბევრს აინტერესებს, რატომ არ არის ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. უნდა ითქვას, რომ იგი შეტანილი იყო VIII ოლიმპიური თამაშების (1924 წ., პარიზი) პროგრამაში, მაგრამ თამაშების დამთავრებისთანავე ჭადრაკის მესვეურებმა უარი თქვეს შემდგომ ოლიმპიადებში მონაწილეობაზე. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საასპარეზოდ მხოლოდ მოყვარული მოჭადრაკეები მიიწვია, რადგან პროფესიონალებად იქნა მიჩნეული ის მოჭადრაკეები, რომელთაც ჭადრაკიდან თუნდაც სულ მცირე შემოსავალი ჰქონდათ. ამის გამო ოლიმპიადის მიმდა დარჩნენ ცნობილი დიდოსტატები: ალექსანდრ ალიოხინი, აარონ ნიმცოვიჩი, ექიმი ზიგბერტ ტარაში, ინჟინერი მილან ვიდმარი და სხვები. ცხადია, მათ გარეშე მოჭადრაკეთა ოლიმპიურმა ასპარეზობამ ბევრი დაკარგა. ამიტომ, როგორც კი დასრულდა ოლიმპიური თამაშები, 1924 წლის 20 ივლისს, იქვე პარიზში, შეიქმნა ფიდე. ახალმა ორგანიზაციამ თავიდანვე თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაისახა მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადების, ანუ, როგორც მაშინ წერდნენ, „ერთა ტურნირების“ გამართვა. ამ ტრადიციას იგი დღესაც მტკიცედ მისდევს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს არის სოკ-სა და ფიდე-ს შორის თანამშრომლობის აღდგენის ცდები. მაგალითად, ამას წინათ ერთმანეთს შეხვდნენ ამ ორგანიზაციების პრეზიდენტები ხუან ანტონიო სამარანჩი და ფლორენსიო კამპომანესი. დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბარსელონის თამაშების კულტურულ პროგრამაში ნავარაუდევია საჭადრაკო ტურნირიც.

ფიდე ცალ-ცალკე ატარებს ქალთა და ვაჟთა ოლიმპიადებს.

დღემდე ვაჟთა ოლიმპიადა 28-ჯერ შედგა. საბჭოთა მოჭადრაკეები ამ შეჯიბრებაში 1952 წლიდან მონაწილეობენ. მათ ჩვიდმეტჯერ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული.

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა 1957 წლიდან ტარდება. თავდაპირველად ოლიმპიადა სამ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა, 1972 წლიდან კი ორ წელიწადში ერთხელ იმართება. გამარჯვებული გუნდი ჯილდოვდება პირველი მსოფლიო ჩემპიონის ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი ბროლის თასით, გუნდის წევრები — ოქროს მედლებით.

საბჭოთა მოჭადრაკე ქალები ყოველთვის დიდი წარმატებით მონაწილეობენ ოლიმპიურ ტურნირებში. ამ მიღწევებში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართველ დიდოსტატებს. საგანგებოდ აღსანიშნავია მათი გამარჯვება IX და X საჭადრაკო ოლიმპიადებში, როდესაც საბჭოთა ნაკრები მთლიანად ქართველი მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული. ხოლო XII ოლიმპიადაზე ქართველ დიდოსტატთან ერთად გუნდში შედიოდა ელენა ახმილოვსკაია, როგორც საქართველოს წარმომადგენელი.

დღემდე ქალთა ცამეტი ოლიმპიადაა გამართული. საბჭოთა მოჭადრაკეებს მხოლოდ ერთ, VII ოლიმპიადაში არ მიუღიათ მონაწილეობა. მათ თერთმეტჯერ მოიპოვეს ვერა მენჩიკის სახელობის თასი.

გთავაზობთ ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების შედეგებს.

I ოლიმპიადა. 2-21. IX.1957. ემენი (ჰოლანდია). მონაწილეობდა 21 გუნდი. თითოეულ გუნდში იყო ორი ძირითადი მოთამაშე. I. სსრ კავშირის ნაკრები: ოლგა რუბცოვა — 9,5 ქულა, კირა ზვორიკინა* — 9 (თითოეულს 14-დან).

II ოლიმპიადა. 21.IX-10.X. 1963. სპლიტი (იუგოსლავია). 15 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **ნონა გაფრინდაშვილი — 11,5 ქულა (12-დან)**, ზვორიკინა — 5,5(6), სათადარიგო მოთამაშე (იგი ამ ოლიმპიადიდან შემოიღეს) ტატიანა ზატულოვსკაია — 8(10).

III ოლიმპიადა. 3-15.X. 1966. ობერჰაუზენი (გფრ). 14 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **გაფრინდაშვილი — 9(11)**, ზატულოვსკაია — 8,5(9), ვალენტინა კოზლოვსკაია — 4,5(6).

IV ოლიმპიადა. 7-23.IX. 1969. ლიუბლინი (პოლონეთი). 13 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **გაფრინდაშვილი — 9,5(10)**, ალა კუშნირი — 8,5(9), ნანა ალექსანდრია — 8(9).

V ოლიმპიადა. 18.IX-13.X. 1972. სკოპლე (იუგოსლავია). 23 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **გაფრინდაშვილი — 6,5(8)**, კუშნირი — 7(8), ირინა ლევიტინა — 5,5(6).

VI ოლიმპიადა. 16.IX-7.X. 1974. მედელინი (კოლუმბია). 25 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **გაფრინდაშვილი — 10(12)**, **ალექსანდრია — 6,5(8)**, ლევიტინა — 8(10).

VIII ოლიმპიადა. 25.X-12.XI. 1978. ბუენოს-აირესი (არგენტინა). 32 გუნდი. ამ ოლიმპიადიდან გუნდებს თითო ძირითადი მოთამაშე დაემატა. I. სსრ კავშირის ნაკრები: **მაია ჩიბურდანიძე — 9(10)**, **გაფრინდაშვილი — 9,5(11)**, **ალექსანდრია — 8(10)**, ელენა ახმილოვსკაია — 10(10).

IX ოლიმპიადა. 10.XI-8.XII. 1980. ლა-ვალეტა (მალტა). 42 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **ჩიბურდანიძე — 11,5(13)**, **გაფრინდაშვილი — 9,5(12)**, **ალექსანდრია — 4(8)**, **ნანა იოსელიანი — 7,5 (9).**

X ოლიმპიადა. 30.X-16.XI. 1982. ლუცერნი (შვეიცარია). 45 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **ჩიბურდანიძე — 9(12)**, **გაფრინდაშვილი — 11,5(13)**, **ალექსანდრია — 7,5(9)**, **იოსელიანი — 5(8).**

XI ოლიმპიადა. 19.XI-5.XII. 1984. თესალონიკე (საბერძნეთი). 51 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **ჩიბურდანიძე — 7,5(11)**, ლევიტინა — 6,5(11), **გაფრინდაშვილი — 8,5(10)**, ლიდია სემიონოვა — 9,5(10).

XII ოლიმპიადა. 15.XI-2.XII. 1986. დუბაი (არაბთა გაერთიანებული საამიროები). 49 გუნდი. I. სსრ კავშირის ნაკრები: **ჩიბურდანიძე — 8(10)**, ახმილოვსკაია — 8,5(12), **ალექსანდრია — 7(10)**, **გაფრინდაშვილი — 10(10).**

XIII ოლიმპიადა. 13-29.XI. 1988. თესალონიკე (საბერძნეთი). 56 გუნდი. I. უნგრეთის გუნდი. II. სსრ კავშირის ნაკრები: **ჩიბურდანიძე — 7(10)**, ახმილოვსკაია — 8(9), ლევიტინა — 7,5(11), მარტა ლიტინსკაია — 9,5(12).

ნონა გაფრინდაშვილმა 10 ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა (მისი საერთო შედეგებია: +84—2=23), 6-6 ოლიმპიადაში — მაია ჩიბურდანიძემ (+37—0=30) და ნანა ალექსანდრიამ (+35—6=12) და ორ ოლიმპიადაში — ნანა იოსელიანმა (+10—2=5).

ნონა გაფრინდაშვილი 10-გზის ოლიმპიური ჩემპიონია, ნანა ალექსანდრია — 6-გზის, მაია ჩიბურდანიძე — 5-გზის, ნანა იოსელიანი — 2-გზის.

თენგიზ გიორგაძე.
საერთაშორისო არბიტრი.

*გვარები ჩამოთვლილია დაფების მიხედვით.

I ლიგა

4 ოქტომბერს გაიმართთა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 37-ე ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა შინ მიიღეს ვორონეჟის „ფაკელი“. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 2:2.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ტაშკენტის „ფახთაქორი“. მატჩის შედეგია 1:0 ბათუმელთა სასარგებლოდ.

მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატზე

ზაპოროჟიე (ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.). აქ დაიწყო ოლიმპიური რეზერვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, შეჯიბრებაში მონაწილეობენ 1971 წელს დაბადებული ჭაბუკები.

ფინალურ შეჯიბრებაში გამოდის თბილისის „ნორჩი დინამოელის“ კოლექტივიც (სკოლის დირექტორი ო. უშვერიძე, მწვრთნელები რ. გაგუა, ს. აპრესიანი, თ. ჩარკვიანი).
გათამაშების I ტურში ჩვენი ფეხბურთელები შეხვდნენ პერმის „ზვეზდას“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. 2 ბურთი გაიტანა ყიზილაშვილმა, თითო — ჯანჯალაშვილმა და ვიბლიანმა.

მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და კიევის „დინამოს“ შეხვედრაში უპირატესობა მოსკოველებს ჰქონდათ, მათ გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 4:0.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.